№ 240 ნოემბერი 13, კვირა 1888 ნოემბერი 13 კვირა № 240

# ივერია


გაზეთი ღირს

| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათ დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ფრეილინის ქუჩა, ბასტამოვის სახლი, № 5, ხიდეკელის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1888 სა პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1888


დღესასწაულის გამო შემდეგი ნომერი გამოვა ოთხშაბათს, 16 ნოემბ.

## რედაქციისაგან

ამ №-ში თოთხმეტი გვერდია, რადგან დაბეჭდილია ქუთაისისა და ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკების მამულთა გასყიდვის განცხადებანი.

კვირას, 13 ნოემბერს, დილის 11 საათზე, სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში მოხდება **წლიური კრება ქართულ დრამატიულ საზოგადოებისა.**

სხდომის საგნები:

1) გასულის წლის ანგარიში;
2) სავარაუდო ანგარიში ამ სეზონისა;
3) ახალთა წევრთა არჩევანი.

წლიური საერთო კრება „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წევრთა, თანხმად საზოგადოების წესდების მე-11 §-სა, დანიშნულია ამ წლის ნოემბრის 20, დილის 10 საათზე, სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში. კრებამ უნდა განიხილოს შემდეგი საგნები:

ა) ანგარიში საზოგადოების გამგეობის მოქმედებისა 1888 წლის იანვრის 1-დამ სექტემბრის 1-მდე;

ბ) მოხსენება სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვაზე 1888—1889 წლისათვის;

გ) არჩევანი საზოგადოების ახალის წევრებისა. (4—3)

ტფილისი, 12 ნოემბერი

ამ რამდენისამე თთვის წინად ერთს წერილში ჩვენა ვსთქვით, რომ ჩვენის წარსულის ძლიერების მიზეზი უპირველესად იყო ჩვენი ზნეობრივი და კულტურული ვითარება და არა ხმალი და იარაღის ჩხარა-ჩხური; რომ მონგოლთა და სპარს-ოსმალოთა ვერ შეჰმუსრეს ჩვენი ვინაობა, რადგანაც ჩვენს კულტურას ვერ გაუმკლავდნენ, თუმცა ხმალი ჩვენზე ნაკლებად არ უჭრიდათ. ეს აზრი იმ წერილში ზოგადად იყო გამოთქმული და ამიტომ მეტი არ იქნება, ისევ იმავე საგანს დავუბრუნდეთ და ზოგიერთ სხვა საგნებსაც მივაქციოთ ყურადღება.

კულტურა უმთავრესი ნიშანია ადამიანთა სულიერის სიმტკიცისა, რადგანაც იგი შეადგენს ნაყოფს ხანგრძლივის ცხოვრებისას, შრომისასა და ბეჯითობისას; იგი შეიცავს მთელს ზნეობრივს, ეკონომიურს, სულიერს და ეროვნულს ვითარებას და რამდენადაც მეტი უღვაწნია ადამიანთა კრებულს, მით უფრო ყოველივე ესე მკვიდრად და ღრმად არის ჩანერგილი ხალხში.

აი უმთავრესი მიზეზი იმისა, რომ ზოგიერთს ერებს გამოუვლიათ მრავალი განსაცდელი, მრავალი ისტორიული უბედურება,—იმათს თავზე მრავალს აქაფებულს ისტორიულს ზვირთს გადაუვლია, მაგრამ მაინც მოუღწევიათ ჩვენ დრომდე. ეს აზრი, ჩვენის ფიქრით, მეტად აშკარაა, მაგრამ, ამისდა მიუხედავად, ზოგნი იმ გარემოებას, რომ ამა-და-ამ ერმა თავი დააღწია ისტორიულს განსაცდელსაო, მიაწერენ მხოლოდ სულიერს სიმტკიცეს ხალხისას და მიზეზს ამ სიმტკიცისას-კი არ ეძებენ, თითქო სულიერი ძლიერება, სიმტკიცე, მხნეობა და სხვა მრავალი სათნოება ზეგარდმო მობერილი ნიჭი იყოს, თითქო ყოველივე ესე ადამიანს დაბადებიდამვე დაჰყვა ცხოვრებისა და ისტორიის დაუკითხავადაო. ამ გვარი აზრი ცრუ-მორწმუნეობას ემსგავსება და მეტი არ იქნება ამაზე ცოტათი დაწვრილებით მოვილაპარაკოთ.

დედამიწის ზურგზე დღესაც იპოვით ისეთს ერებს, რომლებსაც დაუცავთ თავიანთი განსაკუთრებული ხასიათი და თვისება, თუმცა მრავალი და მძიმე ისტორიული განსაცდელი გამოუვლიათ. ეს ერნი უძველესნი არიან, იმათ განსაკუთრებული კულტურა ჰქონიათ და ეს კულტურა ძვალ-რბილში აქვსთ გამჯდარი. რამდენადაც უფრო ძველია რომელიმე თვისება და ხასიათი, მით უფრო მტკიცე და მკვიდრია იგი, მით უფრო დიდს წინააღმდეგობას უწევს რომელსამე მოპირისპირე ძალას. მეორეს მხრით, რამდენადაც უფრო ახალია რომელიმე თვისება, მით უფრო ადვილად აღმოსაფხვრელია, მით უფრო ნაკლებს ძალას იჩენს ბრძოლაში. ერთის სიტყვით, რაც უფრო ახლად აღმოცენებული და შეთვისებულია, რაც დიდის ხნისა არ არის, ის უფრო ადვილად იშლება, ირღვევა და ცხოვრებიდგან იკარგება. ეს კანონია როგორც თვითოეულის ადამიანის ცხოვრებისა, ისე მთელის საზოგადოებისა, ადამიანთა კრებულის ცხოვრებისა. ეს კანონი შეგვიძლიან გამოვარკვიოთ მრავალის სხვა-და-სხვა რიგის მაგალითისაგან. აი თუნდაც კერძო ადამიანი წარმოვიდგინოთ. დაუკვირდით ჯერ ნორჩს ყმაწვილს, რომლის ხასიათი მეტად რბილია, რომელსაც გრძნობა-გონება არ უვარჯიშებია და ამიტომაც ძლიერად ემორჩილება უფროსების მაგალითს, სიტყვას, საქციელს და ადვილად ითვისებს ყოველსავე, რასაც ყურსა და თვალს მოჰკრავს და გაიგონებს. მართალია, ყმაწვილის ბუნება წმინდა სანთელი არ არის, რომ როგორც გინდათ, ისე ჩამოჰქნათ, ისეთი დაფა არ არის, რომელზედაც რასაც გინდათ, იმას წააწერთ. მაგრამ მხოლოდ იმიტომ, რომ ყმაწვილს საკმაოდ არ უვარჯიშებია თავისი ძალ-ღონე და გრძნობა-გონება, იგი ყოველთვის იმყოფება უფროსის ძლიერის გავლენის ქვეშ. თქვენ შეგიძლიანთ ყმაწვილს შეათვისებინოთ რომელიმე ხასიათი, ჩაუნერგოთ თავში რომელიმე აზრი, შეგიძლიანთ დააგდებინოთ რომელიმე თქვენთვის არა სანატრელი ჩვეულება; თქვენ შეგიძლიანთ ბუნებით ნიჭიერს ყმაწვილის გონების წარმატება შეაჩეროთ, უკან დასწიოთ, ან წინ წასწიოთ. მეორეს მხრით, წარმოიდგინეთ ხანში შესული ადამიანი, რომელსაც ბევრის რამ გამოუვლია, რომელსაც გრძნობა-გონება და ძალ-ღონე უვარჯიშებია. ძნელია ამ გვარს ადამიანს მოაშლევინოთ რომელიმე ჩვეულება, ხასიათი, თვისება; ძნელია ამ გვარმა ადამიანმა უარჰყოს რომელიმე ძვალ-რბილში გამჯდარი აზრი. სამაგიეროდ, ყოველსავე ახალს უფრო ფრთხილად, გარჩევით ეკიდება და ახლად შეთვისებულსა და მთაბეჭდილს უფრო ადვილად უარ-ჰყოფს, ვიდრე ძველად შეთვისებულსა და შეხორცებულს. ამიტომაც ყოველივე ახალი უფრო ადვილად

## ფელეტონი

### შენიშვნები ქართველის მგზავრისა

(ცეცხლის მსახურთა ქალაქი ბაქო)

**„Наконецъ-то, мы въ Бакѣ“**-ო, წამოიძახა ერთმა ჩემმა თანამგზავრმა ფელდფებელმა და დაავლო ხელი თავისს ბარგი-ბარხანას ვაგონიდამ ჩამოსასვლელად. მეორე ფელდფებელმა, რომელმაც გზაში გამოიჩინა ფილოსოფოსური სიდინჯე აზრის აღებ-მიცემობაში, ვერ მოითმინა, რომ უკანასკნელი თავისი სიტყვებიც ფილოსოფოსების შენიშვნით არ გაეთავებინა:

**— Что бы тамъ ни говорили, а въ Бакахъ умному человѣку житъ можно**-ო.

მე პირველად გავიგონე ასეთი საკვირველი ბრუნვა ცეცხლის მსახურთა ქალაქის სახელისა და დღესაც ვერ შევიმაგრებ ხოლმე თავსა, რომ გიჟივით არ წამსკდეს სიცილი, მარტოკა ვარ, თუ საზოგადოებაში, როდესაც-კი გამახსენდება ეს ბრუნვა. თქვენ იტყვით—რა დაჰმართვია, რალა სულ ამ ფელდფებელებთანა ჰქონია ბაასი და თითქო რაღაც კავშირი, რომ სულ იმათი ლაპარაკი მოჰყავსო. ნუ თუ უკეთესი საზოგადოება ვერ მონახა ვაგონშიო! რა ვქნა, თქვენი ჭირიმეთ, ბარემ მეც ვარჩევდი უკეთესს საზოგადოებას, მაგრამ დაიჯერეთ, რომ ამ ხანად მართლაც ვერ ვიშოვნიდი უკეთესს საზოგადოებას და საითკენაც უნდა გამეხედნა, უთუოდ ყველაზე ახლო ან ფელდფებელი უნდა დამენახა, ან უნტერ-აფიცერი, ან სალდათი. თანაც გამოტყდით, რომ ამისთანა მაგალითებს სიტყვიერებისას ვერსად მოჰკრავთ ყურს, თუ არ უნტერ-აფიცერის წრეში, ვერც ამისთანა საუცხოვო ბრუნვას სახელ-წოდებისას გაიგონებთ, გარეშე ხსენებულ საზოგადოებისა.

მაგრამ რაც უნდა სასაცილო იყოს ბრუნვა ბაქოს სახელ-წოდებისა, მართალი-კი ის არის, რომ ჭკვიანი კაცი ბაქოში ცხოვრებას ადვილად მოახერხებს. ან-კი რატომ ვერ მოახერხებს, როდესაც არა თუ ჭკვიანი, არამედ სულელებიც-კი ახერხებენ ცხოვრებას ბაქოზე უარეს ადგილებში. კაცი ისეთი პირუტყვია, რომ მშრალ ქვაზედაც რომ დასვათ, იქაც-კი გამონახავს თავისთვის ლუკმა პურსა, თვალ-მიუწვდენელ ქვიშის უდაბნოშიაც-კი გაიჩენს თავისთვის სარჩოს. მარტო დღევანდელი ქართველი კაცია ისეთი თავსნიერი, რომ არ ემორჩილება ამ კანონს ადამიანის ბუნებისას და პირ-იქით უდაბნოდ გარდააქცევს აყვავებულსა და ამწვანებულს მიდამოს, რომელზედაც ჩვენთა თანამემამულეთა მამა-პაპას სისხლის ოფლი უღვრიათ და ციცაბო კლდეებზე გაუტარებიათ გუთანი, დაუკრავთ ბარი და წერაქვი, ქვისათვის წყალი გამოუდენინებიათ და გაუყვანიათ რამდენსამე ასს ვერსზე არხები და საურმო გზები...

ხოლო როგორის ღირსებისაც უნდა იყოს დღევანდელი ქართველი, ბაქოს მაინც მაგარი, ღონიერი ფესვები გაუდგამს გახრიოკებულს ნიადაგზე ზღვის პირას და შესანიშნავის სიუხვითა და სავსე კალთით აჯილდოვებს ადამიანის გარჯასა და მხნეობას.

რადგან კარგს ტყუილს კაი მოგონება უნდა და კარგს მოგონებასაც უნარი ეჭირვება და რადგანაც ჩვენი თანამემამულე საზოგადოდ უკაცრავად გახლავთ ყოველ გვარ უნარზე, ამიტომ გულ-ახდით მოგახსენებთ მართალსა, რომ მე, როგორც ქართველმა კაცმა, ბაქოს ვითარებისა თითქმის არა ვიცოდი-რა, გარდა იმისა, რაც აქა-იქა ნაწყვეტ-ნაწყვეტად გამეგონა ოდესმე და რისთვისაც შემთხვევით ყური მომეკრა. გამეგონა, რომ ნავთი ბაქოში მოდისო, და დარწმუნებული ვიყავი, რომ ბაქო გაშენებულია ერთის თვალ-მიუწვდენელის კლდის ძირში და ამ კლდიდამ გადმოჰჩქეფს მთელი მდინარე თეთრის, პირდაპირ გადაკეთებულის ნავთისა. მეგონა, რომ ამ მდინარის პირას სცხოვრებენ სულ ურწმუნონი, კერპთ თაყვანის-მცემელნი, ცეცხლ-მსახურნი, რომელნიც მარტო ნავთსა სჭამენ, ნავთსა ჰსმენ, ნავთში ბანაობენ და იქნება კიდეც ნავთის მორევში სძინავთ-მეთქი. ამის გამო ბაქო ჩემის წარმოდგენით ერთი რაღაც ჯოჯოხეთი რომ უნდა ყოფილიყო და ამიტომ ქართველ კაცს, ბაქოში შესვლისთანავე, სასოებით უნდა ეხსენებინა სამას სამოც-და-ხუთი წმინდა გიორგი, რომ ხელში არ ჩაჰვარდნოდა შავსა და კუდიანს ეშმაკებს. სახლების მაგიერ მე წარმოდგენილი მქონდა რაღაც გამოქვაბულები და სოროები, რომლებშიაც ჩემმა ფანტაზიამ ჩაასახლა მთლად ყველა ბაქოელები. ჭუჭყი, ტალახი, ვაი-ვაგლახი და დარდუბალა —ამის მეტი არა უნდა ყოფილიყორა ჩემის წარმოდგენით, ბაქოს ქუჩებზე...

* *

ადვილად გაიგებთ ჩემს განცვიფრებას, როდესაც პირველად გადავავლე თვალი ბაქოს, რომელიც კოპწიად გადასწოლია ზღვის ნაპირას და საკმაო სილამაზით შეფენილა დაბალის მთების ფერდობებზე!.. ერთის შეხედვითვე თქვენა ჰხედავთ, რომ, როგორც ქალაქი, ბაქო არც ერთს საშუალო სახელიან ქალაქს არ ჩამოუვარდება. რამდენიც ახლო ეცნობები ამ ქალაქსა, იმდენი უფრო იმას მხარეზე გადასდიხარ. მაშინ-როდესაც, ბაქოს ნახვამდე, მე მეგონა, რომ კავკასიაში ტფილისს ვერც ერთი ქალაქი ვერ შეედრება სისუფთავით, ქუჩების სილამაზით, ქვა-ფენილითა და ტროტუარებით-მეთქი, —ეხლა ვნახე, რომ ბაქო თუ ჩამოუვარდება ტფილისს რასმეში, ჩამოუვარდება მხოლოდ იმაში, რომ ტფილისიდამ შორს მაინც მოჩანს ტყიანი მთები, გარშემო და შუაგულ მიაც ბაღები და ხეები მოიძებნება, აგრეთვე მდინარე ჩამოუდის შუაგულზე. სხვაში არა თუ არ ჩამორჩება ბაქო, ბევრით აღემატება კიდეცა. ჯერ ერთი ის რათ უღირს ბაქოს, რომ გადაჰყურებს თვალ-მიუწვდენელს წყალს კასპიის ზღვისას, ყურს უგდებს ხან მის ზვირთების გაბოროტებულს ღრიალს, ხან მათ საალერსო და საარშიყო ჩურჩულს. ეს ბუნებითი ღირსება ბაქოსი. ახლა გასინჯეთ ხელოვნება ქალაქის პატრონებისა. წესიერად გაშენებული სახლები, უმეტესს ნაწილად სულ თლილის ქვისა, მშვენიერი, უწარჩინებულესი სუფთა ქუჩები, მოკირწყლული სულ რგვალის ქვითა. ამისთანა ჩინებულს ქვა-ფენილს არსად არ შევხვედრივარ არც ერთს ქალაქში, სადაც-კი მიეუწყვანივარ ეხლანდელის დროების ვითარებას. ბაქოს ქუჩებზე სიარული, ქვეითი, თუ ეკიპაჟით, არა თუ არ შეადგენს მგზავრის ტანჯვას, როგორც მიჩვეულნი ვართ მაგალითად ტფილისსა და ქუთაისში, არამედ გეხალისებათ კიდეცა. მხოლოდ ბაქოში ვნახე, რამოდენა სიკეთე შეუძლიან მოუტანოს ამ მხრივ ქალაქს რიგიანმა პატრონმა. ძალიან გამიკვირდა, სად უშოვნიათ ასე ბევრი რგვალი ქვა-მეთქი და, როგორც ქართველმა, არავითარი ღონის-ძიება არ ვიხმარე, რომ გამეგო ადგილი ასეთის ქვებისა. მარტო ეხლა ვნანობ, რატომ არავისა ვკითხე-მეთქი. კიდეც გამომადგებოდა ეს ცნობა დღევანდელს წერილში. ეს-კი ვნახე, რომ ახლო-მახლო ისეთი ქვა არსად მოიძებნებოდა. უეჭველად შორიდამ ეზიდებიან, მაგრამ მანძილის ნამდვილს სიშორეს ჩემის ჰკუით ხომ ვერ განგიმარტავთ.

ამოსაშლელია იმის ცხოვრებიდგან, გრძნობა-გონებიდგან და ხასიათიდგან. მაგალითად, რა უფრო ადვილად ავიწყდება ამ გვარს ადამიანს გაგონილისა და ნახულისა? რასაკვირველია, ისა, რაც დიდი ხანი არ არის გაუგონია და უნახავს. მოხუცს გუშინდელი გაგონილი და ნახული ავიწყდება და ის, რაც ყრმობის დროს შეუტყვია და ჩაუნერგავს გონებასა და გულში, კარგად ახსოვს და შეუძლიან მკაფიოთად და ნათლად გიამბოთ; პირიქით, ისკი, რაც გუშინ უნახავს და გაუგონია, ადვილად ავიწყდება და ვერ გაიხსენებს. ამ გვარ მაგალითებისაგან შეგვიძლიან ის დავასკვნათ, რომ რაც უფრო ადრე და დიდის ხნის შეთვისებულია, მით უფრო ძნელად ამოსაშლელია ადამიანის ცხოვრებიდგან; პირ-იქით, რაც უფრო ახლად შეძენილია, ის უფრო ადვილად ამოსაშლელი და დასარღვევია. ამას ისიც უნდა დავურთოთ, რომ საზოგადოდ ადამიანის აგებულებაში ირღვევა და იშლება ის აზრი, ხასიათი, ჩვეულება, თვისება, რომელიც უფრო რთულია. ამ გარემოებას პირდაპირი მჭიდრო კავშირი აქვს ზემოდ მოხსენებულს გარემოებასთან, რადგანაც ყოველსავე რთულს აზრს და ხასიათს, ფორმას ცხოვრებისას ადამიანი გვიან ითვისებს. რაც ზევით ვსთქვით, ყოველივე ის მტკიცე კანონია პსიხოლოგიისა და იმდენად მკვიდრი, სრულიად შეურყეველი ჭეშმარიტებაა მეცნიერებისა, რომ ამ ჭეშმარიტებას დღეს ბრმა და ჯიუტი თუ უარჰყოფს, თორემ ამისი წინააღმდეგი სხვა არავინ არის.

ამავე კანონს ემორჩილება, ექვემდებარება ადამიანთა კრებულის ცხოვრებაცა, ესე იგი ყოველივე, რაც საზოგადო ღვაწლის, ცხოვრებისა და გრძნობა-გონების ნაყოფია, რაც ადამიანთა შეერთებულს ცხოვრებასა და აზრს მოუმკია და დაუმკვიდრებია. აქაც იგივე პსიხოლოგიური კანონი ჰმოქმედობს, თავისს ძალას იჩენს და თავისს კვალს აჩნევს ცხოვრებაში. ცხადია, რომ ყოველივე, რაც ადამიანთა რომელსამე კრებულს შეუქმნია და მოუღვაწნია, ერთის დღის ნაშრომი არ არის, არამედ მრავალ საუკუნეთა განმავლობაშია შეძენილი და უფრო მარტივი ფორმები ცხოვრებისა, ურთიერთობისა უფრო ადრიანად არის შეთვისებული და დამკვიდრებული. ის-კი, რაც ადამიანთა კრებულს ახლად შეუთვისებია, უფრო რთული რამ არის. პირველი უფრო მტკიცედა აქვს საზოგადოებას დაცული, ხოლო მეორე უფრო ადვილად შესამუსრავი და უარ-საყოფელია. თვით-არსებობისათვის ბრძოლაში საზოგადოება უფრო ადვილად ჰკარგავს იმ ფორმას, სახსარს ურთიერთობისას, ცხოვრებისას, რაც უფრო რთული და ახლად შეძენილი და შეთვისებულია. ეს გარემოება, შესაძლოა, მაგალითებით დავასურათოთ.

ა. ნა—ლი

## ახალი ამბავი

*** ხვალ, ორშაბათს, მისის იმპერატორებითის უდიდებულესობის ხელმწიფე იმპერატრიცას მარია თეოდორეს ასულის დაბადების დღეა. ამ დღეს, დილის ათს საათზე, მისი ყოვლად მაღალ უსამღვდელოესობა ეგზარხოსი საქართველოსი პალადი წირვასა და პარაკლისს გადაიხდის სიონის ტაძარში

*** 12 ამ თთვისას, შაბათს, ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობას საგანგებო კრება ჰქონდა: ამ კრებაზე თავად-აზნაურობამ გადასწყვიტა: 1) მიართვას მისს იმპერატორებითს უდიდებულესობას ხელმწიფე იმპერატორს თავისი უქვეშევრდომილესი ადრესი იმის გამო, რომ ხელმწიფე იმპერატორმა ინება და იხილა ჩვენი ქვეყანა და თვისის მობრძანებით და ყოვლად მოწყალე სიტყვით გაამხნევა თავად-აზნაურობა. ამას გარდა დაადგინა ადრესს ჩაერთოს უქვეშევრდომილესი სიხარული იმას გამო, რომ მისი იმპერატორებითი უდიდებულესობა და უავგუსტოესი სახლობა უზენაესმა დაიფარა საშინელის განსაცდელისაგან; 2) კრებამ მოისმინა სათავად-აზნაურო სკოლის კომიტეტის თხოვნა მასზედ, რომ თავად-აზნაურობამ იშუამდგომლოს მთავრობის წინაშე, რათა სათავად-აზნაურო სკოლას მიენიჭოს იგი უფლებანი, რაც მაგისთანა სახელმწიფო სკოლებს აქვს ყოველისფერში. თავად-აზნაურობამ საჭიროდ დაინახა შუამდგომლობა გაუწიოს მხოლოდ იმაში, რომ სახელმწიფო სკოლების უფლებანი ითხოვოს მარტო მოსწავლეთათვის, სახელდობრ ისა, რომ სათავად-აზნაურო სკოლაში რომელსამე კლასის კურს-შესრულებული ყმაწვილი მიიღებოდეს უეგზამენოდ სახელმწიფო სასწავლებლის შემდეგს კლასში და კურს-შესრულებულს მოსწავლეებს ის შეღავათი მიეცეთ სამხედრო ბეგარაში, რაც სახელმწიფო სასწავლებლის მოსწავლეებს ეძლევათ. რადგანაც ეს უიმისოდ არ იქნება, რომ მთავრობამ თავისი ზედამხედველობა არ იქონიოს სწავლების საქმეში, ამისათვის კრებამ დაადგინა სთხოვოს სათავად-აზნაურო სკოლის კომიტეტს, შეადგინოს პროექტი იმ ზედამხედველობისა, რაც საჭიროა, რომ მთავრობამ ზემოხსენებული შუამდგომლობა შეიწყნაროს.

აგრეთვე ლაპარაკი ჩამოვარდა იმაზე, თუ რა მდგომარეობაშია სასკოლო გადასახადის საქმე და სთხოვეს გუბერნიის მარშალს, რაც შეიძლება მალე შესრულებულ იქმნასო ეს საქმე. ბ-ნმა გუბერნიის მარშალმა იქვე უბრძანა საქმის-მწარმოებელს, რომ ამ საქმეს მსვლელობა მიეცეს დაუყოვნებლივათ.

*** გუბერნიის სეკრეტარი ნიკოლოზ დევდარიანი, რომელიც განსაკუთრებულ მინდობილებათა უფროსს მოხელედ იყო ტფილისის გუბერნატორთან, 9 ამ თთვისას სამსახურიდგან დაუთხოვნიათ თავისის თხოვნისამებრ და ავადმყოფობის გამო.

*** ამას წინად მოხსენებული იყო, რომ ქალაქს განზრახვა აქვს შეადგინოს ახალი ბიურო, რომელსაც უნდა მიანდოს მილის წყლის მეთვალყურეობაო. ეს ბიურო უკვე შედგენილია და ათს ამ თთვისას იმას ჩაჰბარდა კიდეც მილის წყალი.

*** ამ სეზონში ორი ახალი პიესა შეემატა ჩვენს ქართულს სცენას. ერთი პიესა დაუწერია აკაკის და მეორე—ბ-ნს პ. უმიკაშვილს. აკაკის პიესა ხუთ-მოქმედებიანია, ჰქვიან „ახალი გმირი“ და, როგორც გვიამბეს, ქართველ განათლებულ კაცთა ცხოვრებიდამ არის დაწერილი.

*** უკანასკნელს ქართულს წარმოდგენაზედაც ძალიან ნაკლებად დაესწრო ხალხი, თუმცა ამ ხანად საინტერესო პიესა და ვოდევილი იყო წარმოდგენილი.

*** ჩვენ მოგვივიდა № 861 ინგლისურის სამეცნიერო ჟურნალისა „The Academie“, რომელშიაც დაბეჭდილია წერილი ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორის ე. რ. მორფილისა ჩვენს ქვეყნის შესახებ. ამ წერილის შინაარსს შემდეგს ნომერში შევატყობინებთ ჩვენს მკითხველებს.

*** ეხლა, როდესაც გათავდა რევიზია სავაჭრო სახლებისა და სახელოსნოებისა ტფილისში, ჩვენ შევიძლიან რამდენიმე ცნობა ვაუწყოთ მკითხველებს სავაჭრო სახლებისა და სახელოსნოების შესახებ. ამ 1888 წ. ტფილისში 777 სახელოსნოა; საქონლის საწყობები, სადაც საქონელი წვრილ-წვრილად არ ისყიდება,—16; დუქნები, სადაც სხვა ხორაგეულობის გარდა ისყიდება სასმელებიც,—64; ადგილობრივის ღვინის სარდაფები—148; ტრაქტირები—104; სამიკიტნო დუქნები—236; სამიკიტნოები (სადაც მხოლოდ სასმელები ისყიდება)—44; ლუდის დუქნები—67; არყის ქარხანა—3; ლუდის ქარხანა—4 ფურნე და თონე—253; ბაკები და მეხაშეს დუქნები—198; სასაყასბო—163. ამათში პირველის გილდის მოვაჭრეა—84, მეორე გილდისა—719; წვრილმანით მოვაჭრეა—2132, სულ 2935. ამათ ჰყავთ ფიშქრები 1-ლი და მე-2 რიგისა—1236. ტფილისში 105,000 მცხოვრებია. ორთა-შუა რიცხვით რომ ვიანგარიშოთ, თითო ფურნეს, ანუ თონეს 415 მყიდველი ჰყავს და თითო საყასბოს—644.

*** თელავიდგან გვწერენ: დიდი ხანი არ არის მას აქეთ, რაც „ივერიაში“ ნაამბობი იყო, თუ რა მდგომარეობაშია აქაური ხიდი. მოხსენებული იყო, რომ ხიდი ალაგ-ალაგ ჩატეხილია და ამიტომ გამვლელ-გამომვლელთ დიდი სიფრთხილე ჰმართებთ, რომ რაიმე უბედურებას არ წააწყდნენო. გვეგონა ჩვენს საჩივარს ვინმე ყურადღებას ათხოვებდა, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ, არავის აზრადაც არ მოსვლია

ამ მხრივ ჩვენი ტფილისი სრულებით ჩამორჩომილია: რაღაც ლორღსადი მწვეტ ქვებს დაარჭმევინებენ შეუბრალებელს სპარსელებს და იარეთ, რამდენიც გინდოდეთო, იმტვრიეთ ფეხები, დაჰგლიჯეთ ჩექმებიო. ტროტუარებით ხომ „ხიდს ქვეშ“ მოაქცევს ბაქო ტფილისსა მართალია, ესკი იმიტომ, რომ ბაქოში ნავთი ჩალაზე იაფია და ასფალტის ტროტუარებს ჩიჩქივით ამრავლებენ, ზოგან თვით ქუჩებიც მთლად ასფალტით არის დაგებული.

ამის გამო, ჩემო ბატონებო, მაშინ-როდესაც ტფილისის, მაგალითად, შაითან-ბაზარში ადამიანს არ გეევლება, ბაქოში თვით ბაზრის ქუჩა გაცილებით სუფთაა, ვიდრე ჩვენი ერთად-ერთი განთქმული გოლოვინის პროსპექტი.

ბაქოს წუნი ეს არის, რომ სასმელად წყალი არა აქვთ რიგიანი. ჭების მლაშე წყალსა ჰხმარობენ, მაგრამ შეჩვეულები არიან და არა სჩივიან. უეჭველია, რომ ამ ჭირს აიცდენენ თავიდამა და ახლო მერმისისათვის გაიკეთებენ მილის წყალს. თუკი ღატაკმა ტფილისმა მოახერხა ეს საქმე, ასეთს მდიდარს ქალაქს ბაქოს ვითომ როგორ უნდა გაუჭირდეს.

**

რის გაჭირება, რად უნდა გაუძნელდეს ბაქოს, როდესაც ჯერ მარტო იმის ნავთის ქარხნებს, როგორც მითხრეს, დღეში უნდება არა ნაკლებ ორის მილიონის „ვედრისა“. ეხლა მლაშე წყალს ახმარებენ და მლაშე წყალი დიდს ზარალს აძლევს მაშინებს. თუ-კი სასმელი წყალი გაჩნდება სადმე, დიდის სიხარულით დაეჯაჯგურებიან მექარხნენი და ამ წყალს იხმარებენ. ბაქომ ტფილისის ფასებიც რომ დაადვას წყალსა, ე. ი. კაპეიკად ხუთი „ვედრო“, მარტო ქარხნების საჭიროებაც საკმარისია, რომ მილის-წყალმა არ აზარალოს ქალაქი და, პირ-იქით, შემოსავალიც მისცეს.

ამ სახით, თუ-კი ბაქოს პატრონები ფხას გამოიჩენენ და არ შეუშინდებიან მილის წყალის გაყვანას, არა თუ ამით მარტო მლაშე წყლის ნაკლს აიცდენენ თავიდამ, არამედ კიდევ სხვა ნაკლულევანებასაც აღარ ექნება ადგილი, კაცს აღარ ამოუღამდება თვალი ბაქოს სიგამხრითა და მცენარეობის უქონლობით. რაკი ბაქო გაიჩენს მდინარისა, თუ მთის წყალს, მაშინ ხეების გამრავლებასა და ბაღების გაშენებას აღარა დაუშლის-რა და მაშინ ხომ ჩვენმა ტფილისმა უნდა თითი მოიხაროს ბაქოს წინაშე.

ხოლო ეს მერმისის საქმეა და ვინ იცის მანამდე ტფილისმა კიდე რაღა უნარი გამოიჩინოს. დღეს-კი ბაქოს სიტურფეს ძალიან ბევრს უშლის ნავთის ბული, რომელიც გარს დასტრიალებს მთელს ქალაქს.

მაგრამ აკი ვამბობ, იმ წარმოდგენასთან, რომელიც მე, როგორც ქართველს, წინადა მქონდა შედგენილი ბაქოზე, ნახულმა სწორედ გამაშტერა. ბულით-კი არა, მე მეგონა, ნავთის საჭმლების ხმარება დამჭირდება-მეთქი, და აბა რაღაც ბულს რაში შევნიშნავდი, თქვენი ჭირიმეთ. ქართველურად დავაღე პირი და გაშტერებული შევყურებდი ქუჩებს, სახლებს, ზღვასა და ყველაფერს, რასაც-კი არ ველოდებოდი.

*

ცოტა ხანი-კი არ დამჭირდა, მინამ ისევ გონს მოვიდოდი და გამოვარკვევდი, ცხადლივა ვნახე ქალაქი, თუ სიზმარში მომეჩვენა-მეთქი. უტყუარი ნიშანი იმისი, რომ ძილში არ ვიყავ, გახლდათ ისა, რომ დავინახე თუ არა ღვინის სარდაფი, მაშინათვე ვიგრძენ საშინელი წყურვილი, დავლუნე თავი და გავექანე—ერთი კახურ ღვინის კულას დავეწაფები-მეთქი. ხუმრობა-კი არ იყოს, მთელი დღე-ღამე პირში ერთი ცვარი ღვინო არ ჩამეშო! მაგრამ შენი მტერი, როგორი ღვინოც იქ მე მომიტანეს. კახურიაო, იძახოდნენ, და მატრასის ღვინო-კი გამოჩნდა, ისეთი ღვინო, რომ ქართველი კაცი პირში არ ჩაიშვებს.

უნდა მართალი გითხრათ, სანანურადაც არ დამრჩა, რომ ვერ დავეწაფე ნუნუას. მადლობა ღმერთს, თორემ ისე წამოვიდოდი ბაქოდამა, რომ ვერც-კი ვნახავდი იმ საინტერესო სანახავს, როგორიც არის ნავთის მიწები და რომლის ნახვაც მტკიცედ გარდავწყვიტე და მეორე დღესვე სისრულეში მოვიყვანე.

დილის მატარებელმა რკინის გზით წამიყვანა ბალახანში, სადაც რამდენიმე ასი ქარხანა მუშაობს და ამოაქვს მიწიდამ ნავთი. ქართველი მგზავრი რომ არ ვიყო, დაწვრილებით აგიწერდით ნავთის წარმოებას, მით უმეტეს, რომ ნობელის ქარხანაში შემთხვევით წავაწყდი ერთს ტეხნიკს, რომელიც ბეჯითად ემზადებოდა, რომ ხელმწიფე იმპერატორის მობრძანებაზე მსურველთათვის მოკლედ და სრულად აეხსნა ყოველივე, რაც-კი ნავთის საქმეს შეეხება. ისე ნათლად, ისე გარკვევით და ისეთის ხალისით აგვიხსნა ნავთის საქმე ამ თავაზიანმა კაცმა და თანაც ისე დაწვრილებით გვაჩვენა ყოველივე ღირს-შესანიშნავი, რომ მე დღეს არ გამიძნელდებოდა მკითხველისთვის გამეზიარებინა გაგონილი და ნახული, მაგრამ რადგან მე ქართველი ვარ და ქართველ მკითხველთანა მაქვს საქმე, ამიტომ რისთვის, ან ვისთვის შევიტკიო თავი, რაზე დავხარჯო წამალი!

ამას კი ვიტყვი, რომ ის ნავთი, რომელსაც ბაქოს ნავთს ვეძახით, მოდის უმთავრესად ბალახანსა და სურახანში. ბალახანი და სურახანი კარგა მოშორებით არიან ბაქოზე და რკინის-გზის შტოთი არიან შეერთებულნი ქალაქთან. ნავთსა ჰგზავნიან ბაქოში თუჯის მილებით.

ერთის შეხედვითვე ჰგრძნობთ, რომ ბაქოს გარშემო დიდ-ძალი ფულია ჩაყრილი მიწაში, რამდენიმე ათი და ოცი მილიონობით მანათი, და ეს ფული დღითი-დღე ამოდის თუ ნავთის მსგავსად, თუ სხვა-და-სხვა საქონლით, რომელიც გადის და შემოდის ბაქოში რკინის გზითა და მრავალის გემით.

**

ვიცი, რომ ჩემს მკითხველს ეს ცნობებიც ეზევრება იმის შემდეგ, რაც ჩვენის ქალაქის გაზეთებმა ტვინი წაიღეს ნავთის ამბებით. შაქრის ამბავი რომ გეკითხნათ, ნავთით გაგიჭედავდნენ ყურებს. სულ ნავთი და ნავთი. მერე, რაც ფულის მეფემ როტშილდმა მოწყალის თვალით გადმოჰხედა და ულვაშებში გაუღიმა ბაქოს, ნავთის მეტი აღარა ისმოდა-რა გაზეთებში. საზოგადოდ, როტშილდი რაღაც მხსნელადა ჰყვანდათ წარმოდგენილი ჩვენის გაზეთების მეოხებით. ყველანი იმას გაიძახოდნენ—ახ, თუ ერთი ღმერთმა მოგვხედა და როტშილდმა მოჰკიდა ბაქოს ხელი, მაშინ მთელის კავკასიის ბედი სულ სხვა ნაირად დატრიალდებაო, ავშენდებით, ავყვავდებითო. ბაქოში ვიყავ და აბა როგორ არ უნდა დავკვირვებოდი იმ დიდებას, რომელიც უნდა შეგვმატოს როტშილდმა!

დავაკვირდი და მართლაც უნდა ვსთქვა, რომ როტშილდის ბაქოში მოტრიალებას სრულებით გადაუტრიალებია ჩარხი ბაქოს ნავთის ბედისა.

აქამდე ვინც-კი ნავთის საქმეს ეწყობოდა, უმეტესად თვითონა მუშაობდა, თავისის მხნეობითა და გარჯით, საკუთარის ფულით ამოჰქონდა ნავთი ქვესკნელიდამ და ქვეყანას იაფს სანათურს აწვდიდა. ბაქოს ნავთის საქმეს მართლა დიდი ამაგი დასდო ნობელმა, დიდი ფული და ჭკუა მოანდომა ნავთის მრეწველობას და სხვა მრეწველებს გაუკვლია, გაუადვილა გზა, ასწავლა საქმის რიგიანი დაყენე-

ხიდის შეკეთება და შესწორება, ამიტომ ხიდი თანდათან უფრო და უფრო ფუჭდება. ექვსს ამ თვისას, ნაშუადღევის სამს საათზე, მეფე-დედოფალი მიჰყავდათ ეტლით ეკკლესიაში ჯვარ-დასაწერად. შესდგა თუ არა ეტლი ხიდზე, იმ წამსვე ჩატყდა ფიცარი. ორი თვალი ეტლისა შიგ ჩაცვივდა და ეტლიც გადმობრუნდა. ეტლი საკმაოდ დაზიანდა და დამსწრე ხალხმა ამოათრია, შიგ მსხდომნიკი მშვიდობით გადარჩნენ. რასა თქმა უნდა, ეს ხიდი, თუ ყურადღება არავინ ათხოვა, უარესსაც შეგვასწრებს.

*** ამას წინად გაზეთებში მოხსენებული იყო, რომ ბ-ნს ა. არასხანიანცს განზრახვა აქვს სამრეწველო და საკომერციო კურსები გამართოს ტფილისში. თავისი განზრახვა ბ-ნს არასხანიანცს უკვე განუხორციელებია. გაზეთ „Тифлис. Лис.“-ში ვკითხულობთ, რომ 7-ს ამ თვისას კურსები უკვე გაუმართავთ. 9 ამ თვისას თვითონ ბ-ნ არასხანიანცს წაუკითხავს პირველი ლექცია აბრეშუმის მოყვანაზე, ხოლო მეორე ლექცია უნდა წაეკითხნა ამ თვის თერთმეტს. ამ თვეის თექვსმეტიდგან, ორშაბათს დღეს, ბ-ნი ქალანთარი დაიწყებს ლექციებს საქონლის მოშენებისა და წველა-დღევების შესახებ. პირველს ლექციაზე დასწრებია 18 კაცი. შემდეგ წაიკითხვენ ლექციებს ბამბის მოყვანისა და ნავთის მრეწველობის თაობაზე.

## უცხოეთი

გერმანია. დაბეჭდილა კიდეც ლონდონსა და ბერლინში ის წიგნი, რომელსაც დიდის მოუთმენელობით მოელოდნენ ინგლისსა და გერმანიაში და რომელსაც სათაურად აქვს „ფრიდრიხ III, მისი პრინცობა და იმპერატორობა“. საყურადღებოა ამ წიგნის წინასიტყვაობა, რომელიც წერილად მიუწერია ქვრივს იმპერატრიცას, დედოფალს ვიქტორიას, დამწერისათვის. მოვიყვანთ ერთს ადგილს ამ წერილიდამ: „პატივცემულო ბატონო როდდ?—სწერს იმპერატრიცა წიგნის დამწერს:—გეხსომებათ, რომ ჩემმა აწ გარდაცვალებულმა მეუღლემ, როცა ლონდონში იყო უკანასკნელად, დაათვალიერა სამკურნალო ყელის ტკივილით შეპყრობილთათვის; თუმცა მაშინ თვით მისი ყელის ტკივილი საშიში არაფრით იყო, მაინც იმისმა კეთილმა გულმა ვერ მოითმინა, რომ შემწეობა არ აღმოეჩინა იმათთვის, ვინც უფრო მეტად იტანჯებოდა ყელის ტკივილით. მეც მაშინვე მომივიდა ფიქრად დაეხმარებოდი ასეთს სასარგებლო დაწესებულებას, მინდოდა დამებეჭდა ან სურათები, ანუ წიგნი და შემოსავალი მაგ ლონდონის სამკურნალოსათვის შემეწირა. მოგეხსენებათ, რომ მას უკან არც დრო მქონია და არც მოსვენება ამ გვარის საქმისათვის. ახლა-კი ჩემის თვალით ენახე და ვიცი, რა დიდი საქმეა ხელოვნება მკურნალისა და რა დიდს შეღავათს აძლევს ავადმყოფსა და სნეულს მოვლა და ფარეზობა. ამას შემდეგ ერთი-ორად უფრო მეტი სურვილი მაქვს შევუმსუბუქო ტანჯვა იმათ, ვინც ჩემს მეუღლესავით გამწარებულია სნეულებით; დეე, სამკურნალოში მაინც ჰქონდეთ ისეთი ხელის-შეწყობა და ფარეზობა, რომელსაც თავიანთს საკუთარს სახლში მოკლებულნი არიან. ერს უყვარს ჩემი ფრიდრიხი და ამ სიყვარულის იმედი მაქვს, რომ ჩემი განზრახვა შესრულდება; მხოლოდ ეხლა სურათების დაბეჭდვასა და წიგნის დაწერას ალარა ვფიქრობ და თქვენა გთხოვთ ასწეროთ ცხოვრება და მოღვაწეობა იმ კაცისა, ვისის სახელითაც ვშველი და ვეხმარები ეხლა სნეულთა და ტანჯულთა და ვისაც თქვენ კარგად იცნობდით მაშინაც, როცა ბედნიერს დღეში იყო, და მაშინაც, როცა დიდს ტანჯვასა და წამებაში ჩავარდა. თქვენზე უკეთ სხვას არავის შეუძლიან გააგებინოს ინგლისელებს, რა კაცი იყო ჩემი ქმარი. თქვენ შეგიძლიანთ აღადგინოთ მისი სურათი და უფრო მეტად შეაყვაროთ ხალხს. დარწმუნებული ვარ ცხოვრება კარგისა და კეთილშობილის კაცისა გამოიწვევს სიყვარულს, თანაგრძნობას, მიბაძვას. ღარიბს ხალხს, რომელიც მდიდართა სიტკბოებას მოკლებულია, ჰგონია, რომ მხოლოდ იმათ ჰხვედრით წილად მძიმე ტვირთი და უღელი ცხოვრებისა და რომ მხოლოდ მარტო იმათ იციან, რა არის მწუხარება, ტანჯვა და ცრემლები. იქნება სხვა ნაირად იფიქრონ მას შემდეგ, როცა წაიკითხავენ მოთხრობას იმ ტანჯვისას, რომელიც ფრიდრიხმა ისეთის ვაჟკაცურის სიმტკიცით აიტანა; იქნება გაიგონ ის დიდი მწუხარება მეფისა, რომელიც მხოლოდ თავისის ერის გაბედნიერებისათვის ოცნებობდა და იგრძნო უძლურება სწორედ მაშინ, როცა მოვიდა დრო სატრფიალო და სასურველის საქმის განხორციელებისათვის. მწუხარება, ტანჯვა-წამება, გულის ტკივილი ღარიბის სახლშიაც არის და სასახლესა და დარბაზებშიაც. მხოლოდ ცხოველი სიყვარული და ზრუნვა მოყვასთათვის გააერთიანებს წმინდა ძმურის გრძნობით დიდის ტანჯვისა და მწუხარების მნახველთა.

თქვენი პატივის-მცემელი ვიქტორია“.

საფრანგეთი. 1 ნოემბერს მინისტრს გობლეს საგარეო პოლიტიკაზე ჩამოუგდია ლაპარაკი პალატის კრებაზე და უთქვამს სხვათა შორის შემდეგი: „ცხადია, ჩვენ გარშემო ისეთი ამბებია, რომ მთლად ყურადღებად უნდა გადავიქცეთ და სიფხიზლითაც ვიქცეოდეთ. ხოლო მგონია, რომ ვალდებულნი ვართ და არც შეგვიძლიან გულ-აღუშფოთებლად და სიდინჯით არ ვაკვირდებოდეთ ამ ამბებს (ძალიან კარგი! ძალიან კარგი! იძახდნენ მემარცხენენი და მემარჯვენენი.). საფრანგეთი არავის არ ემუქრება. იმდენად ძლიერიც არის, რომ არ შეეშინდება, თუ ბრძოლაში გამოიწვევია ვინმე (კვლავ ისმის ტაშის კვრა). მთელი საფრანგეთი ეხლა იმისს ზრუნვაშია, რომ საშინაო საქმენი მოაწყოს და გამოფენისათვის მოემზადოს. ამიტომ არც შორს სადმე გალაშქრებასა ჰფიქრობს და არც ვისიმე დაპყრობას. (ძალიან კარგი!) მაშასადამე, არც რომელსამე სხვა სახელმწიფოს უნდა დაებადოს რაიმე ეჭვი საფრანგეთის შესახებ. მართალია, საფრანგეთს გადაწყვეტილი აქვს ყველგან დაიცვას თავისი ინტერესები, საცა-კი ეს ინტერესები უეჭველად არსებობს, მაგრამ ამას ისეთის სიმტკიცით მოიქმედებს, რომ სხვის ინტერესებს ოდნავაც არ შეეხება, არამედ მოიქცევა სრულის კეთილ-გონიერებით, ზომიერად, როგორც-კი დიდსა და მშვიდობის მოყვარე ერს შეეფერება (დიდხანს ისმის ტაშის კვრა). ასე ვფიქრობ მე, ასეთია ის გრძნობანი, რომლითაც ვარ გამსჭვალული. თქვენ მოგწონთ ჩემი ქცევა და ეს მოწონება მე უფრო მამხნევებს და მაქეზებს კვლავაც ასე მოვიქცე, თუმცა ვგრძნობ, რომ ადვილი საქმე-კი არ არის ის საქმე, რომელიც მე მაქვს მონდობილი. ბატონებო, ვისაც წილად ჰრგებია ამ დიდის ქვეყნის პოლიტიკის წარმოება, იმან უნდა ნათლად იცოდეს მისი ინტერესები და ძვირად უნდა ულირდეს მისი სახელი. იმ კაცის ვალია დაიცვას იგი ინტერესები, მაგრამ არც ის უნდა ავიწყდებოდეს, რომ დროსა შრომისასა, წინ-სვლისასა და გამუდმებულის წარმატებისას მშვიდობიანობაა უმაღლესი ინტერესი საფრანგეთისაცა და ყველა განათლებულ ქვეყნებისაც“.

## წვრილი ამბები

ბულონსკის მოქიშენი გამოსჩენია, რომელთაც ეხლა მთელი პარიჟი ალაპარაკებული ჰყავსთ და პატივცემულს გენერალს სახელს უბნელებენ. ეს ორი ადამიანი პრადოა და შამბიჟო. პრადო პრანცინისებური ავაზაკია, სასამართლოში ირჩევა იმისი საქმე და ის ბრალი ედება, რომ მოუკლავს და გაუძარცვავს ზნეობით დაცემული ქალი მარია აგეტანი. ეს მარია აგეტანი ისეთი ქალი ყოფილა, რომელიც ყველა საყვარლისაგან ოც-ოცს თუმანს იღებდა თურმე, ასე რომ მარტო ოქროული და ძვირფასი ნივთები 50,000 მან. ჰქონია. ეს ნივთები ამ ქალის მოკვლის შემდეგ დაკარგულა, ამ სამის წლის წინად, და აქამდე ვერ უპოვნიათ. პრადო უბრალო ქურდობაში დაუჭერიათ, ხოლო შემდეგ გამომძიებელს უცვნია ზოგიერთს ნიშნებზე და პრადოს საყვარლის ფლორესტინისათვის გამოუთქმევინებია ეს ამბავი. პრანცინი ლამაზი კაცი იყო და შეძლებულ და ხარისხოვან კაცთა ქალებს აგიჟებდა და ჰხიბლავდა, ხოლო პრადოს ამისი უნარიც არა აქვს თურმე. ამ კაცმა მხოლოდ ის ჩაიდინა, რომ ზოგიერთი ოჯახი აიოხრა, გაძარცვა, გააკოტრა და სამართალში თავისთან ერთად ჩააგდო დედა და ქალი. სასამართლოში პრადო ურცხვად იქცევა და ენა-მახვილი ლაპარაკი აქვს. არწმუნებს მოსამართლეებს, რომ ჯიბეში ისეთი საბუთები მიწყვია,

---

ბა და წარმოება, მსოფლიო ბაზარში გაიტანა ბაქოს ნავთის სახელი და ღირსება. ნობელის მეოხებით ბაქოს გვერდზე გაშენდა სრულებით ახალი ქალაქი, რომელიც თითქმის კიდეც უდრის თვით ბაქოს და ეწოდება «შავი ქალაქი». ნობელის მადლობელი უნდა იყოს მთელი კავკასია, რომ დღეს ამოდენა ქალაქად გარდაიქცა მივიწყებული და მიყრუებული ბაქო, რომელსაც ამ ათიოდე წლის წინად ჰყავნდა სულ რაღაც ათი-თხუთმეტი ათასი სული მცხოვრები და დღეს-კი თითქმის სამოცდა-ათი ათასი სული მცხოვრები ეთვლება.

თუ-კი ნობელმა ასეთი სასწაული მოახდინა ბაქოში, რაღა ეჭვი მოგვივიდოდა, რომ როტშილდი უფრო დიდს სასწაულს მოახდენდა, უფრო გაამდიდრებდა ბაქოს, რაკი თავისს უშველებელს ჯიბეს დაჰბღერტავდა ნავთზე. მაგრამ წარმოიდგინეთ, რომ დღეს როტშილდს სულ რაღაც ერთი თუ ორი საშუალო ქარხანა აქვს ნავთისა და მეტი არაფერი, რომ ამ ქარხნებს თითქო მარტო ყასიდად ამუშავებს და თითქმის თავ-მინებებული გაუშვია. მაშასადამე, თვით ნავთის წარმოებაში არა თუ ახალი არა შეუტანია-რა, ძველსაც ალმაცრივ უყურებს და ამიტომ არავითარი წარმატება მრეწველობისა არა აქვს სახეში. მაგრამ ამისდა მიუხედავად, როტშილდმა მაინც უკვე მოახერხა და სულ სხვა რიგად დაატრიალა ჩარხი ნავთის ბედისა, უკეთ რომა ვსთქვათ, სულ უკუღმა გადმოატრიალა, ყირამალა დააყენა საქმე.

დღეს როტშილდი, როგორც მწარმოებელი, არც-კია შესამჩნევი სხვა ნამდვილ მწარმოებლებთან, იგი გახლავთ მხოლოდ ვაჭარი და დიდი ვაჭარიცა—დღეში გაეზიდება ბაქოდამ ზღვითა და რკინის-გზით თითქმის ორმოცდა-ათს ათასს ფუთსა. როტშილდის ოდენა ნავთი დღეს არავის გააქვს ბაქოდამ. თქვენ იტყვით—ეგ კაი ღვთის წყალობაა ბაქოსთვისო, ღმერთმა შეაძლებინოს და უფრო მეტი გაეზიდვინოსო. თქმა არ უნდა, მეტის ზიდვას ადვილად შესძლებს, მაგრამ რამდენად მაგაში ღვთის-წყალობა იქნება, ამას თქვენ თვითონ გაიგებთ, როდესაც მოისმენთ საქმის ვითარებას. ნავთზე, ჩემო ბატონებო, ბაჟია დადებული. მანამ მწარმოებელი არ გადიხდის ბაჟის ფულს, მანამ არ შეუძლიან გაიტანოს ნავთი ბაქოდამ. თითქმის ყველა მწარმოებელნი ნაკლებად არიან ფულზე და არა აქვსთ შეძლება, რომ ნავთის ამოღებაზე ცალკე გასწიონ ხარჯი და ბაჟზე კიდე ცალკე.

აბა ამისთანა დროს მოჰხსნის ხოლმე პირს როტშილდი პარკსა. ამოდის და ამოდის ოქროს ზოდები. როტშილდი სწორედ მისწრებასავით მიეშველება ხოლმე მწარმოებელს და ისე დაჰხვდება, „როგორც ძმა მივა ძმასთანაო“, ადგილობრივა ჰყიდულობს ნავთსა და მერე თითონ იხდის ბაჟის ფულს. როცა პირველად მოუვიდა თავში ასეთი ბედნიერი აზრი და გაუწოდა ხელი მწარმოებელს, ყველანი მადრიელის თვალით შეჰყურებდნენ როტშილდს, იმიტომ-რომ ფუთში თითქმის ექვს შაურს აძლევდა. მერე და მერე, როდესაც ნახა, რომ მეტი მუშტარი არავინ გამოჩნდა თვით ბაქოში, ფასები დასწია 24 კაპეიკზე. ჩემს იქ ყოფნაში 19 კაპეიკამდე ჩამოვიდა. ეს კიდევ არაფერი იქნებოდა, რომ მარტო დროებითი საქმე იყოს. მაგრამ ძნელი ის არის, რომ მწარმოებლებს ხელ-წერილით ევრება, რომ იმათ არავის მიჰყიდონ თავიანთი ნავთი, გინდაც რომ თავზე სასხმელი მოუკიდეთ, გინდა გადასაღვრელიც იყოს. ამასთანავე ხელწერილი ერთისა და ორის წლით-კი არა, რამდენისამე წლითაა არის ჩამორთმეული. როგორც შევიტყე, დღეს ამ გვარად როტშილდს კარგა ბლომა ქარხნები ჩაუგდია ხელში და თითქმის ყოველი ქარხანა ცახცახსა და კანკალშია, სული კბილით ძლივს უჭირავს და ადრე თუ გვიან თვითონაც გახდება მსხვერპლი როტშილდის „ძმობისა“.

ამ სახით თუ წავიდა საქმე, არ გაივლის რამდენიმე წელი, რომ ბალახანიცა და სურახანიც ყურ-მოჭრილ ყმად დაუდგება ბ-ნს როტშილდსა და ბ-ნი როტშილდიც იმ ფასებს მოაწვედნს მწარმოებელს, რა ფასიც ჰკვაში დაუჯდება, და თითონაც იმ ფასზე მოგვყიდის ამ იეფ სანათურს, რა ფასსაც მოიწადინებს და გადაგვიკვეთს..

**

ამითი გათავდება მისსია როტშილდის შემოსვლისა ჩვენს ქვეყანაში. მეტადრე ამ ბაჟმა გაუწია დიდი სიკეთე როტშილდსა და პირში ჩალა გამოავლო მწარმოებელს, რომელმაც სულ სხვა იმედით ჩაჰყარა იმოდენა ფული თავისს მიწებში.

ამის მნახველმა ღმერთს თაყვანი და მადლობა შევსწირე, რომ საქართველოს ღვინოებს მილლიუსთან ერთად როტშილდის ჯიბეც არ ეწვია, თორემ შენი მტერი ჩვენ ყოფაში ჩავცვივდებოდით და მალე შევესწრობოდით იმ დღეს, როდესაც თითქმის სიყვარულით მოსაგონებელნი გაგვიხდებოდნენ ეხლანდელი სირაჯები. დეე, ჯანი გაჰვარდეს, ისევ სირაჯებმა გაიტკბანურონ პირი ჩვენის ოფლით: არ შეიძლება, რომ ჩვენთვისაც არა გადარჩეს-რა, არ შეიძლება ქვევრის ძირში მაინც არ დაგუბდეს ცოტაოდენი კახური, რომ ბედნიერ დღეს მაინც კაცმა გულიდამ დარდები გადაიყაროს. როტშილდ ბაში-კი ღვინის ცვარიც-კი სანატრელი გაგვიხდებოდა და ჩვენც ხელ-მეორედ ბატონყმობაში ამოვყოფდით თავისუფალს თავსა...

**

ბაქოს ამბებს ვათავებ იმითი, რომ აგრეთ წოდებულ ხანის სასახლეზედაც ორიოდე სიტყვას ვიტყვი. არ ვიცოდი, რომ სასახლე ცხრა კლიტით არის დაკეტილი და ქალაქის გამგეობა განსაკუთრებულის თხოვნის შემდეგ უღებს კარებს მსურველთ სასახლის დასათვალიერებლად. სასახლე გაშენებულია ბექობზე, რომელიც ამართულია ბაქოს შუაგულას და მთლად ზევიდამ დაჰყურებს მთელს ქალაქს, გარშემო ავლია კარგა დიდი ციხე მაღალის კედლებითა, კოშკებით და მინარეტებით. საუცხოვო სილამაზისაა ეს მინარეტები. თქვენს თვალს ყველაზე უწინარეს იზიდავს მშვენიერება ამ მინარეტებისა და ფეხი თქვენს უნებურად მიიზიდება ამ თავისებურ შენობისაკენ. ციხის კედელთან დამხვდა მთელი გროვა პატარა ბიჭებისა, რომელთაც შემატყეს, რომ ხამი ვარ და მინდა სასახლის გასინჯვა. მაშინვე მოარბენინეს პატარა კიბე, ამიყვანეს და ყოველივე ღირსსანახავი მაჩვენეს გარედამ. აღმოჩნდა, რომ მე ქურდულად ავყვავე ამ ბიჭებსა, რა არის—მეჩუქებინა რამ. ამ დროს მოსულიყო ვილაც ბედნიერი, მოეტანა ნება-რთვა და იმისთვის გაეღოთ ყველა კარები. კლიტის ჩხარაჩხურზე შემომეფანტნენ ბიჭები და ფეხაქა-გლეჯით გაიქცნენ, კიბეც გაიტაცეს. გამოედევნა ყარაული, მაგრამ ვერას გახდა. ბიჭებმა თავს უშველეს, მიიმალნენ სადღაც. გამოსვლისას ზოგი სად გადამიდგა გზაში და ზოგი სად. მეც შეძლებისამებრ დავასაჩუქრე გამბედავი „ყაჩაღები“, როგორც ყარაული იხსენიებდა იმათ. სასახლის შესანიშნავი მხარე გახლავთ ჩინებული ხუროთ-მოძღვრება, საუკეთესო ქანდაკება და სხვანი.

მაგრამ გვეყოფა ბაქოზე. აღმოსავლეთისაკენ სხვა ადგილებიც არის და ახლა ისინიცა ვნახოთ შემდეგში.

სანო

რომელიც სრულიად გამწმენდავს და განმათავისუფლებს ამ ბრალისაგან და რომელიც ნამდვილს დამნაშავეს მისცემს სასამართლოს ხელშიო. როცა თავ-მჯდომარე ეკითხება, რატომ ეხლავე არ გვაჩვენებო, იგი უპასუხებს:

— მე მსურს მოვისმინო მრისხანე სიტყვა ბ-ნის ბრალმდებელისა, რომელიც დაიწყებს ლაპარაკს, რომ პრადოს თავი გავაგდებინოთო; მინდა მოვისმინო ნაფიცთა მსაჯულთა განაჩენი და შემდეგ კი მე დავანახვებ მთელს ქვეყანას, თუ როგორი სასამართლოცა გვაქვს და ამ სასამართლოს რიგიანობის წყალობით რამდენი სრულიად უბრალო ადამიანიც ისჯებაო.

ამ საქმის გარჩევის დროს დიდ-ძალმა ხალხმა მოიყარა თურმე თავი სასამართლოში. რასაკვირველია, პრადოს საქმე მაინცა-და-მაინც არც ისეთი საგანგებოა. იშვიათი არ არის პარიჟში ისეთი ამბავი, როგორც, მაგალითებრ, ზნეობით დაცემულის ქალის მოკვლა და გაქურდვაა, ხოლო თუ ამ საქმის სასამართალში განხილვას ხალხი მიაწყდა, იმიტომ-რომ დამნაშავე თითონ საშინელი ურცხვია, გარყვნილი და ჩვეულებრივს ადამიანს არაფრითა ჰგავს. იგი 40 წლისაა, მიწის ფერი ადევს და თავზედ შავი თმები აყრია. მშვენივრად ლაპარაკობს, არტისტია, კომედიანტი და ღიმილი უქრის განუწყვეტლად ტუჩებზედ. სასამართლოში დიდ-ძალი მოწმები იყვნენ თურმე მოწვეულნი ამ საქმის გასარჩევად: ისპანიელნი, ფრანგნი, მსატვრები, თეატრში მოთამაშე ქალები, მოსამსახურე გოგონი და სხვანი და სხვანი. ზოგიერთმა ქალმა, რომელთანაც პრადოს ცოლ-ქმრული დამოკიდებულება ჰქონია, გულ-მართლად აღიარეს თურმე სასამართლოში, რომ გულ-წრფელად გვიყვარდა დამნაშავეო.

აი ეს საქმე: 1886 წლის 14 იანვარს, ღამის 12 საათზედ, ზნეობით დაცემული ქალი მარია აგეტანი მოკლული იპოვნეს თურმე თავისს საკუთარსავე საწოლში: დანა ჰქონდა კისერში გარტყმული. მკვლელი გრაფობას იჩემებდა თურმე, ხან ამბობდა, რომ ამერიკელი ვარ და ხან—ფრანგიო. მონაწილეობას იღებდა ბრძოლაში, ქურდობისა და ავაზაკობისათვის 10 წლით კატორგა ჰქონდა გადაწყვეტილი, საიდგანაც გამოიქცა. ამ მკვლელობის შემდეგ პრადო წასულა თავისს მეორე საყვარელთან და იქ გაუტარებია ღამე. აქ პრადო ხშირად იბანდა თურმე ხელებს და არწმუნებდა ქალს, რომ სულები მიყარსო. პერანგზედ სისხლის წვეთები სტყობია. ამ მეორე საყვარელთან, ეგვენი ფორესტიასთან დაუკვეხნია, რომ მე მოვკალი აგეტანიო და აი, სწორედ ამ დედაკაცსავე გაუცია.

## სია

### ხელ-ნაწერებისა,

რომელიც შესწირა „წერა-კითხვის საზოგადოებას“

ბ-ნმა მ. დ. ალექსი-მესხიშვილმა.

(შემდეგი *)

XVII. № 1144. ჟამნი, ხელ-ნაწერი ხუცური in-12° გასანთლულ ქაღალდზე, თავი და ბოლო აკლია.

XVIII. № 1145. „წიგნი დათვნის ქალაქისა და წიგნი ზალუემ ჟანისა“. ხელ-ნაწერი მხედრული in-12, ყდაში, ზლაპრული მოთხრობანი. თავში აკლია 18 გვერდი.

XIX. № 1146. ანტონ პატრიარქის მიერ ყოვლის საქართველოისა „მეტაფიზიკა“, ხელ-ნაწერი მხედრული in-12, ყდაში, სულ 493 გვ., გადაწერილი 1800, 19 ნოემბერი.

XX. 1147. იოანე დამასკელის „წინამძღვარი“, თარგმნილი ევთიმე გრძელიძისაგან, გადაწერილი ლიკასტერიის მწერალ-მწიგნობარის ალექსის ძის დირექტორისაგან, ხელ-ნაწერი მხედრული ლურჯ ქაღალდზე, in-12 ყდაში.

XXI. № 1148. ხელ-ნაწერი ხუცური ლურჯ ქაღალდზე ჩვეულებრივ რვეულად, სულ 99 გვერდი; შიგ არის: 1) მსჯელობანი ცოდვამადლზე, 2) იამბიკო, რვა ხანა, დაწერილი 1785, ოქტომბერსა 17, 3) ქორწინების სქმა. გადაწერილია უკანასკნელის დეკანოზის ალექსი-მესხიშვილის მიერ.

XXII. № 1149. ხელ-ნაწერი მხედრული ლურჯ ქაღალდზე, ჩვეულებრივ რვეულად ყდაში, დავითის მიერ დავიდიან-ბაგრატოვანისა მეფისა ძისა თარგმნილი „მეტალოგია (მითალოგია) ესე ანუ ძველი ზღაპარ-სიტყვაობაჲ რუსულით ქართულსა ენასა ზედა“, (დავით) დირექტორის, უფრო რექტორად ცნობილის გადაწერილი.

XXIII. № 1150. ანტონის მიერ არხიეპისკოპოზისა „არისტოტელითთად შეყვანილება“, ხელ-ნაწერი მხედრული ჩვეულებრივ რვეულად ყდაში, სულ 211 გვერდი, გარდა ვრცელის სარჩევისა.

XXIV. № 1151. „აბბატ კონდილიაკის ლოღიკა“, 1792 წლის რუსული თარგმანისაგან ქართულად გადმოღებული 1806, 10 დეკემბერს იოანეს მეფის ძისაგან სანკტპეტერბურღს. შიგვე მოქცეულია ფიზიკური კანონების ახსნა და კოსმოგრაფიული ცნობანი მოხაზულობით, ხელნაწერი მხედრული, ჩვეულებრივ რვეულად ყდაში, მოხაზულობათა გარდა 323 გვერდია.

XXV. № 1152. ანტონის მიერ არხიეპისკოპოზისა ზემოჲსა საქართუჱლოჲსა წიგნი კატეხიზმო, დასრულებული 1769 წ., ხელ-ნაწერი მხედრული ჩვეულებრივ რვეულად ლურჯ ქაღალდზე ყდაში, გადაწერილი 1807 წელს ანჩისხატის დეკანოზის დიმიტრი ალექსიევისაგან.

XXVI. № 1153. „მაეგობა სულისათვის შემოკრებული თჳთო სახეთაგან სიტყუათა და მოგონებათა ჩვენთა წმიდათა მამათა ჩვენთა მაქსიმე აღმსარებელისა და იოანე დამასკელისა“, ფილოსოფიური მსჯელობა, ხელ-ნაწერი მხედრული ლურჯ ქაღალდზე ჩვეულებრივ რვეულად ყდაში, 1802 წელს, ივლისის 5 ალექსის ძის დირექტორისაგან გამართული.

XXVII. № 1154. ფრიდერიკოს ხრისტიანოს ბაუმეისტრისა დასაბამი ფილოსოფიისა ახლისა, წიგნი „განსაზღურება ფილოსოფიისა“, ქართულსა ენასა ზედა გარდამოღებით შრომილი ანტონის მიერ არხიეპისკოპოსისა 1762 წ., დეკემბერს 30, გადაწერილი დავით რექტორისგან თელავს 1797, თებერვალს 6, ხელნაწერი მხედრულია, ჩვეულებრივ რვეულად შეკრული ყდაში.

XXVIII. № 1155. „გარდასავალი თელემაკისა ძისა ულისესი“, ხელნაწერი მხედრული ჩვეულებრივ რვეულად, ლურჯ ქაღალდზე, ყდაში.

XXIX. № 1156. ბაუმეისტრისა დასაბამი ფილოსოფიისა ახლისა, ქართულსა ენასა ზედა გარდამოღებით შრომითა ანტონის მიერ არხიეპისკოპოსისა 1762, ივლისი 30, გადაწერილი ალექსის ძის დიმიტრის ხელით ნათლის მცემლის მონასტერსა შინა უჯფ, ხელ-ნაწერი მხედრული in-12 ლურჯ ქაღალდზე, ყდაში, 272 გვერდი.

XXX. № 1157. ინსტრუქცია, რომელ არს მოძღურება ბლალოჩინისადმი, ნაბეჭდი ხუცური წიგნაკი, 15 გვერდი.

(შემდეგი იქნება)

*) იხ. „ივერია“ № 236, 238 და 239.

## დეპეშა

### 12 ნოემბერი

**პარიჟი.** პარიჟის სამუნიციპალო საბჭოს განზრახვა აქვს მანიფესტაცია მოახდინოს ბოდენის საფლავზე ორს დეკემბერს. ამ მანიფესტაციისა დიდი შიში აქვთ.

**ბუქარესტი.** კონსერვატორთა დასი და მართებლობა ერთმანეთს მოურიგდნენ და ამ ნაირად შესდგა ახალი სამინისტრო. ამ ახალს სამინისტროში სამი პორტფელი კონსერვატორებს ერგო. მინისტრთა საბჭოს პრეზიდენტად დაინიშნა როზეტი; კარპი დარჩა უცხო საქმეთა მინისტრად.

### პეტერბურგის ბირჟა, 11 ნოემბ.

| | მყიდველნი | | გამყიდველნი | | გაყიდულნი | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | მან. | კ. | მან. | კ. | მან. | კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | — | „ | — | „ | 7 | 75 |
| ტამოჟნის კუპონები | — | „ | — | „ | 155½ | |
| მანათიანი ვერცხლის ფული | 1 | 18 | — | „ | — | „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი | — | „ | — | „ | 271¾ | |
| —მეორისა | — | „ | — | „ | 242 | |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა | — | „ | 97½ | | — | „ |
| ქუთაისის ბანკისა | — | „ | 97 | | — | „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა | 81 | „ | — | „ | — | „ |

### საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყპჱ (1888) წელიწადია.

ქვეყნის შექმნიდამ 7396.

ძველი ინდიქტიონი მე-14, ამისი ქორონიკონი—უპ=480 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—მდ=44 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1888 წლის ზედ-ნადებია—25.

ნოემბერი 30 დღით არის

13 დღე კვირა. წმ. იოანე ოქროპირისა. კათოლ. სტანისლავისა. მაჰმად. მე-21 რიცხვი თვისა რები-ულ-ევველისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუადღე 11—47. ტფილისში მზე ამოდის 7—0, ჩადის 4—24. მთვარე 22 დღისაა.

14 დღე ორშაბათი. მოციქ. ფილიპესი და წმ. გრიგოლისა. კათოლ. კლემენტისი. სომეხ. წმ. ანდრია მებრძოლისა. მაჰმად. მე-22 რიცხვი თვისა რებიულ-ევველისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუადღე 11—47. ტფილისში მზე ამოდის 7—1, ჩადის 4—33. მთვარე 23 დღისაა.

15 დღე სამშაბათი. მოწ. გურიასი, სამონისა და აბიბოსი. კათოლ. გერტრუდასი. სომეხ. წმ. ანდრიანისა და ცოლისა მისისა ანატოლიასი. მაჰმად. მე-23 რიცხვი თვისა რები-ულ-ევველისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუადღე 11—48. ტფილისში მზე ამოდის 7—2, ჩადის 4—32. მთვარე 24 დღისაა.

## განცხადებანი


ნამდვილი საუნჯეა

ყველასთვის განთქმული წიგნი

**თავის მოვლა**

თხზ. დ—რის რეტაუსი

რუსულად გამოცემული 3-ის სურათით

ფასი 1 მანათი.

წაიკითხოს ყველამ ეს წიგნი, ბევრი გადაურჩენია და დაუხსნია ამ წიგნს სიკვდილისაგან.

ვინც მანათს გაუგზავნის გამომცემელ რ. ფ. ბირეის წიგნის მაღაზიას ლეიპციგში, მიიღებს წიგნსა.

ადრესი: გერმანია, R. F. Bierey's Verlage-Magazin in Leipzig. (50—50)



ვერძო ექიმი

**პროღრაშენსკი**

არჩენს ელექტრონით: ფარადისებურ და გალვანისებურ ხელისა და ფეხის სიდამბლეს, ნევრესის სნეულებას, ნევრესის ქარსა და კონტრაქტურას (გაზვავის ნასკვს); არჩენს აგრეთვე სიდამბლისაგან ყრუდ, ბრმად და მუნჯად ჩავარდნილთა.

ამას გარდა სწამლობს დედათა სნეულებასა და სიფილისს. ავადმყოფებს მიიღებს ყოველ-დღე: დილით 9 საათიდგან 12 საათამდე და საღამოთი 7—8-მდე.

ადრესი: მიხაილოვის ქუჩა, ბექხანოვის, სახლი, № 103. (10—3)


### ქუთაისის სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო ბანკისაგან.

ქუთაისის თავად-აზნაურთ საადგილ-მამულო ბანკის გამგეობა საყოველთაოდ აცხადებს, რომ ამ ბანკის წესდების მე-18 §-ის ძალით ქვემორე აღნიშნულ რიცხვებში, ბანკის გამგეობის, სადგურში საზოგადო ვაჭრობით გასყიდულ იქმნებიან ხსენებულს ბანკში დაგირავებულნი უძრავნი მამულნი ქვემო აღნიშნულთა პირთა, შესახვედრ გარდასახადთა შემოუტანლობისა გამო.

გასყიდვა მოისპობა მხოლოდ იმ მამულებისა, რომელთა მეპატრონენი, თანახმად ბანკის წესდების მე-19 §-ისა, შეავსებენ ბანკის გარდასახადს და თან განცხადებათა ხარჯებს.

ვაჭრობა დაიწყება ქვემო მოყვანილის თავნის ფულიდამ ზედ დამატებით სხვა-და-სხვა შეუვსებელის გარდასახადისა, მამულის გასასყიდლად დანიშნვაზე ხარჯებისა და, საზოგადოდ, ყველა იმ ფულისა, რომელიც ბანკს თავისის მოვალის სამაგიეროდ დაუხარჯავს; ბანკის ხანგრძლივის ვალის თავნის მოსპობა შეიძლება ამავე ბანკის გირაოს ფურცლებით, რომელნიც მიიღებიან სახელდობრივის ფასისამებრ მანეთი მანეთად, და აგრეთვე შეიძლება გადატანილ იქმნენ მყიდველზე; ხოლო ვადაზე გარდასახადი და სხვა გვარი ბანკის სახვედრო ფული უნდა შემოტანილ იქმნას ნაღდად.

ვისაც ვაჭრობაში მონაწილეობის მიღება სურსთ, მათ შეუძლიანთ გასასყიდელთ მამულთა აღწერილობისა და საბუთების განხილვა ბანკის სამმართველოში.

თუ ეს ვაჭრობა არ შესდგა, მაშინ, ბანკის წესდების მე-24 § საფუძველით, ინიშნება მეორე და უკანასკნელი ვაჭრობა 30 დეკემბერს 1888 წელსა.

ვაჭრობა 15 დეკემბერს 8 წ.

$18\frac{7}{12}$ წლიანი სესხი

ქ. ქუთაისს

ვარდანაშვილისა, გიგო მახარობელის ძის: ნემეცის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქანი და მიწა 15,42 კვადრ. საქ. თავნი ვალი 290 მან. 19 კაპ. შესავ. გარდ. 60 მან. 8 კაპ. სულ 350 მან. 27 კაპ.

გოგიავასი, ალათი მოსეს ასულის: პოლიციის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ხის სახლი და მიწა 241 კვადრ. საქ. თავნი ვალი 144 მან. 83 კაპ. შესავს. გარდ. 48 მან 43 კაპ. სულ 193 მან. 26 კაპ.

დარახველიძისა, მიხეილ ერასტოს ძის: ორპირის ქუჩაზე ორი ქვითკირის სახლი—ერთი ორ-სართულიანი და მეორე ერთ-სართულიანი და მიწა 312 კვადრ. საქ. თავნი ვალი 3016 მან. 35 კაპ. შეს. გარდ. 373 მან. 68 კაპ. სულ 3390 მან. 3 კაპ.

თურქიასი, მამუკა კოსტას ძის: ვოგზალის ქუჩაზე ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 2330 კვადრ. საქ. თავნი ვალი 5060 მან. 27 კაპ. შეს. გარდ. 793 მან. 84 კაპ. სულ 5854 მანათი 11 კაპ.

მემკვიდრეთა ჩარექოვისა, ელისაბედ სიმონის ასულის: გევუთის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქნები სარდაფით და მიწა 103½ კვადრ. საქ. თავნი ვალი 1499 მან. 7 კაპ. შეს. გარდ. 171 მან. 30 კაპ. სულ 1670 მან. 37 კაპ.

შამირანოვისა, იოსებ ივანეს ძის: ფრანგების ქუჩაზე ერთ-სართულიანი ხის სახლი და მიწა 120 კვადრ. საქ. თავნი ვალი 483 მან. 64 კაპ. შეს. გარდ. 77 მან. 922 კაპ. სულ 561 მან. 56 კაპ.

დუღაძეთა, სოლომონ ნიკოლოზის ძის, სამსონ, სპირიდონ, ალექსანდრე და სიმონ კონსტანტინეს ძეთა: კნიაზის ქუჩაზე ორ-სართულიანი ქვითკირის დუქანი და მიწა 23 კვადრ. საქ. თავნი ვალი 2207 მან. 8 კაპ. შესავ. გარდ. 368 მან. 35 კაპ. სულ 2575 მან. 43 კაპ.

დიასამიძეთა, ნესტორ და სამსონ მიხეილის ძეთა: სათავადო ქუჩაზე ორ-სართულიანი ქვითკირის დუქანი და მიწა 20 კვადრ. საქ. თავნი ვალი 1539 მანეთი 60 კაპ. შეს. გარდ. 222 მან. სულ 1761 მან. 60 კაპ.

ფარცვანიძისა, ივანე დავითის ძის: მიხაილის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქნები და მიწა 50½ კვადრ. საქ. თავნი ვალი 1539 მან. 60 კაპ. შეს. გარდ. 210 მან. 80 კაპ. სულ 1750 მანეთი 40 კაპ.

მემკვიდრეთა ხელთუფლიშვილისა, ბესარიონ ანდრიას ძის, გადასული ეკატერინა მიქელაძეზედ: ორპირის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ხის სახლები და მიწა 442 კვადრ. საქ. თავნი ვალი 923 მან. 63 კაპ. შესავ. გარდ. 136 მან. სულ 1059 მანეთი 63 კაპ.

ალიბეგოვთა: ალექსანდრე, იოსებ და ივანე ღვთისოვარის ძეთა: ბაზრის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქანი და მიწა 14 კვადრ. საქ. თავნი ვალი 758 მან. 70 კაპ. შეს. გარდ. 69 მან. 82 კაპ. სულ 828 მან. 52 კაპ.

ქუთათელაძეთა, კლემენტი პეტრეს ძის და მეუღლისა მისისა ეკატერინესი: გევუთის ქუჩაზე ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 200 კვადრ. საქ. თავნი ვალი 1083 მან. 88 კაპ. შეს. გარდ. 146 მან. 27 კაპ. სულ 1230 მან. 15 კაპ.

მურადოვისა, თომა პავლეს ძის: ბალახვანის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქნები და მიწა 54 კვადრ. საქ. თავნი ვალი 812 მან. 68 კაპ. შეს. გარდ. 107 მან. 78 კაპ. სულ 920 მანეთი 46 კაპ.

ზაიცევებთა, ევლამპი და ელისაბედ: ორპირის ქუჩაზე ორი ქვითკირის ორ-სართულიანი სახლი და მიწა 81 კვადრ. საქ. თავნი ვალი 975 მან. 36 კაპ. შეს. გარდ. 102 მანეთი 40 კაპ. სულ 1077 მანეთი 76 კაპ.

კიკიანისა, ტასია გლახუას ასულის: ზუბოვის შესახვევში ერთ-სართულიანი სახლი და მიწა 144 კვადრ. საქ. თავნი ვალი 341 მანეთი 92 კაპ. შეს. გარდ. 62 მან. 53 კაპ. სულ 404 მან. 45 კაპ.

მემკვიდრეთა ალხაზოვისა, ივანე კაციას ძის: პოლიციის ქუჩაზე ერთი ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 334 კვადრ. საქ. თავნი ვალი 1671 მანეთი 4 კაპ. შეს გარდ. 172 მან. 20 კაპ. სულ 1843 მან. 24 კაპ.

რუხაძისა, კესარია ათანასის ასულის: ორპირის ქუჩაზე ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 89 კვადრ. საქ. თავნი ვალი 790 მან. 95 კაპ. შეს. გარდ. 95 მან. 77 კაპ. სულ 886 მან. 72 კაპ.

საბანეევისა, პეტრე თევდორეს ძის;